ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 12 (1348)

24-30 აპრილი, 1993 წ.

დღეს, 24 აპრილს, დილის 10 საათზე, ცეკავშირის შენობის სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს სახალხო ფროტის III ყრილობა.

ყრილობის მუშაობა 2 დღეს გასტანს.

მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ ყრილობის მასალებს.

თუ «არდასანახს» დაინახავ... ანუ «ჩვენ გავფრთხილეთ აფხაზები!»

გაზთმა „იბერია-სპექტრმა“ თავის 13–19 აპრილის ნომერში ქ. ბაქოში გამომავალ გაზეთ „ზერკალოდან“ გადმობეჭდა საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრის ვიქტორ დომუხოვსკის ინტერვიუ.

პუბლკაციას წინ უძღვის „იბერია-სპექტრის“ მცირე სარედაქციო წინათქმა, საიდანაც ირკვევა, რომ ინტერვიუ ახლახანს გამოქვეყნებულა. აქვე რედაქცია იმედს გამოთქვამს, „...ვფიქრობთ, იგი საინტერესოა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის“– ო.

ინტერვიუ მართლაც ფრიად საინტერესოა, განსაკუთრებით მისი ამგვარი პასაჟები:

„გამსახურდიას „დიქტატორობის“ დროს საქართველოში 20-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი გამოდიოდა, ამჟამად კი არცერთი არ გამოდის, ყველა დახურული ან განადგურებულია“.

ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ისე დაგიმშვენდა ცხვირიო! „დახურული და განადგურებული“ კი არა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს ოფიციოზზე, ხელისუფლების მხარდამჭერ გაზეთებზე მეტი ოპოზიციური გაზეთები გამოდის. ეს ფაქტია, ფაქტი კი ჯიუტი რამაა. რაც შეეხება „იმ დროს“ გამომავალ „20-ზე მეტ ოპოზიციურ გაზეთს“, მათი რიცხვი სინამდვილეში 2–3-ს არ აღემატებოდა.

„ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზები, რომ ხუნტა მათ წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა და ამ გაფრთხილების წყალობით აფხაზებმა „все же“, შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა“.

აი, ასე უნდა იქცეოდნენ ნამდვილი პატრიოტები და ჰუმანისტები! სუსტი, უპატრონო, დაჩაგრული აფხაზები რომ არ გაეფრთხილებინათ „ჩვენებს“, საწყლები ხომ ვერ შესძლებდნენ წინააღმდეგობის „все же“ გაწევას?! ხომ მოუწყობდნენ გენოციდს, ვთქვათ, გაგრაში?!

„გენერალმა გრაჩოვმა ამას წინათ თქვა, შევრდნაძის რეჟიმი ომს ეწევა საკუთარი ხალხის წინააღმდეგო.“

არის კიდევ რაიმე საეჭვო ამგვარი ომის ფაქტში?! ეს განცხადება ხომ ისეთ „პირუთვნელ, ობიექტურ, საქართველოსა და ქართველი ხალხის ისეთ მოყვარულ, გულშემატკივარ, კეთილისმყოფელ“ პირს ეკუთვნის, როგორიც განერალი გრაჩოვია!

„ჩვენ აფხაზებთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ჩვენი ხალხის დამსახურებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ აფხაზებმა უარი თქვეს სოხუმის აღებაზე“.

ჩვენ „შტერებს“ კი გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ ქალაქის დამცველთა გმირულმა, თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა აფხაზები „უარი ეთქვათ“ სოხუმის აღებაზე!

* * *

არა მგონია, „იბერია-სპექტრს“ ეს მართლაც საინტერესო პუბლიკაცია დომუხოვსკისა და ძმათა მისთა „პატრიოტული“ სახის წარმოსაჩენად გადმოებეჭდოს. უბრალოდ, არსებულ ხელისუფლებას „დასცხო“. მართალია, ამ დროს უფრო მეტად დომუხოვსკის და კომპანიას ხვდება („ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზები...“), მაგრამ არის იმედი, რომ ერთგული, დამჯერი მკითხველი მხოლოდ იმას დაინახავს, რაც უნდა დაინახოს (ხელისუფლების მხილება. თუნდაც „მამხილებლის“ როლში გენერალი გრაჩოვი გამოდიოდეს), და „სხვა რაღაცეებს“ ყურადღებას არ მიაქცევს, არ დაინახავს..

სამწუხარო იქნება თუ მართლა ასე მოხდება, თუ „იბერია-სპექტრის“ მკითხველი ესოდენ ადვილად დასანახ „არდასანახს“ არ დაინახავს...

ფელიქს კოჟიაშვილი

ცოტა რამ «სოჭის ოქმის» შესახებ

როგორც ცნობილია, 6—9 აპრილს ქ. სოჭში შედგა რუსეთ-საქართველოს დელეგაციების შეხვედრა. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში კვლავ მრავალი პრობლემა დარჩა გადაუჭრელი, მაგრამ ცხადია, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ყოველი რაუნდი დიდ მნიშვნელობას იძენს. სოჭის შეხვედრის თაობაზე ვთხოვეთ თავისი მოსაზრებები გამოეთქვა ქართული მხარის დელეგაციის წევრს, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმღვანელის მოადგილეს-ბატონ **ირაკლი მაჭავარიანს**. ვფიქრობთ, ეს მოსაზრებები მოკვლელებულად არ მოეჩვენება მკითხველს.

— შეხვედრა სოჭში რუსეთის მხარის ინიციატივით მოეწყო. ეს ინიციატივა განაპირობა ერთი მხრივ, ელცინის და კლინტონის ამასწინანდელმა შეხვედრამ და მეორე მხრივ, თვით რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა. რეფერენდუმის წინ რუსეთი დაინტერესებული იყო, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი ჩაეწერა აქტივში. ამდენად, საქართველოს დელეგაცია ერთგვარად მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა.

ჩვენი მოთხოვნები ძირითადად ოთხი პუნქტისგან შედგებოდა — 1. ეშერის ლაბორატორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. 2. გუდაუთასთან, ბომბორის აეროდრომზე ჩვენი მუდმივი მეთვალყურის დაშვება. 3. საქართველო-რუსეთის საზღვარზე საქართველოს მესაზღვრეების დაყენება. 4. აქ ჩამოთვლილ საკითხთა მოგვარებაში გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დამკვირვებლების მონაწილეობა.

ამ საკითხებზე რუსეთის თანხმობა რომ მიგვეღო, თუნდაც განხორციელება ჩვენი პარტნიორების ჩვეული უპირობის გამო ვერ მოხერხებულიყო, ეს ჩვენთვის მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ამგვარი შეთანხმების დაფიქსირებასაც, თავისთავად, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. სამწუხაროდ, ამ ოთხი საკითხიდან ჩვენთვის სასურველად მხოლოდ ერთი გადაწყდა: შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში, რომელიც თავისი ჟანრით ოქმს წარმოადგენს, ჩაიწერა, რომ დადებითად იქნება გადაწყვეტილი ბომბორის აეროდრომზე საქართველოს და საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნის საკითხი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქმში, შეთანხმებისაგან ან ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, აფიქსირებენ ყველაფერს, რაც შეხვედრაზე ითქმება, იმასაც, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ და იმასაც, რაზეც ვერ შეთანხმდნენ.

ასე, მაგალითად, დოკუმენტში ზოგადად აღნიშნულია, რომ მხარეებმა უბრალოდ იმსჯელეს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის, სასაზღვრო ხელისუფალთა ურთიერთქმედების შესახებ. მიზანშეწონილადაა აგრეთვე ჩათვლილი საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებათა დაწყების დაჩქარება. იგულისხმება, რომ ჩვენი პოზიციები ამ ხელშეკრულებაში იქნება ჩადებული .

ოქმში ასევე ზოგადი ხასიათის ჩანაწერები იქნა შეტანილი აღნიშნულ საკითხებში გაეროსა და ევროთათბირის დამკვირვებლების მონაწილეობის შესახებ.

მიღწეულია შეთანხმება ეშერის ლაბორატორიის სამეცნიერო მოწყობილობის დაკონსერვების შესახებ. რაც შეეხება ლაბორატორიის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის ყოფნას, ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტნიორების მიერ გაკეთდა ჩანაწერი: რუსეთის მხარე თვლის, რომ უნდა უზრუნველოფილი იქნეს ერთობლივი ქართული, რუსული და აფხაზური კონტინგენტის მიერ ლაბორატორიის დაცვა. ამ საკითხზე ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, რომ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიაზე მიწისზედა ნაგებობები მთლიანად დანგრეულია, დარჩენილია მხოლოდ შახტები და, არსებითად, იქ დასაცავი არაფერია. ხოლო რადგანაც ლაბორატორია ზედ ფრონტის ხაზზე მდებარეობს, ის არ არის დაზღვეული შემთხვევითი ჭურვების მოხვედრისგან და, ამდენად, აქ ჯარისკაცების დატოვება მხოლოდ უაზრო მსხვერპლს გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, რუსეთის დელეგაციამ დაჟინებით მოითხოვა ზემოთმოტანილი ჩანაწერი ტექსტში შეეტანა. რომ მათ, უბრალოდ, არ სურთ აღნიშნული ტერიტორიის დატოვება.

ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, იქვე ჩვენი აზრიც დაგვფიქსირებინა — უნდა განხორციელდეს რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების სრული გაყვანა სეისმური ლაბორატორიის ზონიდან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დოკუმენტის ბოლო აბზაცი, სადაც წერია რომ ეს ოქმი შეიძლება ჩაითვალოს არა დასრულებული მუშაობის შედეგად, არამედ სამუშაო დოკუმენტად, როელშიც აისახა, გარკვეული ეტაპი ჩვენი მოლაპარაკებისა.

დასასრული მე-8 გვერდზე

ვაი ჭკუისაგან!..

დრო და დრო რედაქცია ისეთ წერილებსაც იღებს, გაოცებისაგან თვალები რომ შუბლზე შეუხტება კაცს. ნუთუ ასეთი აზრის კაცები ბევრნი არიან, ან რა დამართნიათ, რა სჭირთო, რომ იფიქრებ. ცხადია, ყველას ვერ გამოვაქვეყნებთ, მაგრამ შიგა და შიგ რამდენიმეს „დაჭაშნიკება“ შეიძლება. ასე რომ, „საქართველოს“ რედაქცია თავაზობთ კიდევ ერთ განსხვავებულ ორიგინალურ რუბრიკას — „ვაი ჭკუისაგან“. ამ რუბრიკის სათაურს, მართალია უცხოტომელ მწერალს დავესესხეთ, მაგრამ აქ მოთხრობილი ამები მხოლოდ შინაური „ჭკვიანი“ კაცების გულისთქმას მიეძღვნება. იმედია, ამ ხერხით მაინც მოვთოკავთ იმ ვტორებს, ერთადერთ საფიქრალად ვენი დამუნათება რომ გაუხდიათ და შირად ეს უცენზურო სიტყვების კორიანტელის თანხლებით ხდება.

მაშ ასე, დღეს გთავაზობთ შედარებით ნორმალური ფორმის, მაგრამ ვაი შინაარსის წერილს ერთ-ერთი მკითხველისას.

რედაქცია

ნოდარ გრიგალაშვილო!

მოგმართავთ აბაშის რაიონიდან: საშა ფრანგიშვილი. კომუნისტების მომხრე არ გეგონოთ, რეალობის მომხრე გახლავართ, რეალობის!... რეალობა კი ის არი, რომ კომუნისტების აშენებული ქვეყანა ე.წ. „ეროვნულმა მოძრაობამ“ დაანგრია. აბა, მიმოიხედეთ ირგვლივ თუ ასე არ არის! თქვენი და ნოდარ ნათაძისთანა ქართველები ღუბავენ საქართველოს, ესე იგი იმისთანები, რომლებიც სახელის გამოთქმასა და მათივე გაუტანლობით შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს ხედავენ წინაპართა ლანძღვა-გინებასა და დაცინვაში. თუ ასე არა, სტალინსა და ბერიას რა ჭირს თქვენისთანების და ჩვენისთანების საირონიო? — (მსოფლიო პროლეტარიატის მამა-მარჩენალი“)... თქვენი სიტყვებით: სწორედ „წითელმა ჭირმა“ უზრუნველყო კავის რუსეთის გადაქცევა უძლიერეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. უმადური და გაუმაძღარი ქართველობა ახლა რომ ორსართულიან სახლებში წამოჭიმულან, არ ახსოვთ ყავარით და ისლით გადახურული ქოხები? ისაა უკეთესი, რომ ხის ქოშებით დადიოდნენ?!... ნუთუ ასეთმა ცნობილმა ჟურნალისტმა არ იცით, რომ წინაპართა აუგად ხსენებას ცუდის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლია საერთო საქმისათვის? თქენგან და ნოდარ ნათაძისთანა „იდეოლოგებისაგან“ შეჩვენებული მარქსიც კი არ უგულვებელყოფდა ხელაღებით წინამორბედთა ნაშრომ-ნაამაგარს და აღიარებდა, რომ მისი მოძღვრების ჩამოყალიბებისას ბევრი რამ დაესესხა ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას, ფრანგულ სოციალიზმს და გერმანულ ფილოსოფიას... სტალინის სახელის მთელი მსოფლიო მოწიწებით ახსენებს, თქვენ და თქვენისთანა ქართველებს კი საირონიოდ არ გყოფნით, აბსუს! აბსუს!...

ნაპოლეონმა საფრანგეთი გაჩანაგებულ-გაპარტახებული დატოვა და იგი ფრანგ ხალხს პარიზში ყველაზე პრესტიჟულ ადგილზე უსვენიათ ოქროს კუბოში და როგორც იტყვიან, ზედ პირჯვარს აწერენ, სტალინმა კი აშენებული ქვეყანა დატოვა და თქვენისთანები კი!...აი, სწორედ ამიტომაა რომ მსოფლიოს სასაცილოდ ვყავართ აგდებული...

სწორედ თვქენისთანებზე აქვს დიდ ილიას ნათქვამი:

„მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, არგამტანი და ცბიერი!—“ო...

ჩერჩილი დაუძინებელი მტერი იყო სტალინისა, მაგრამ სინამდვილეს მაინც ვაჟკაცურად გვერდს არ უვლიდა, როცა ამბობდა: „სტალინი ეს ერთად-ერთია, რომელიც განგებამ მხოლოდ ერთადერთჯერ მოუვლინა პლანეტას“... შენ და ნოდარის კი არ მოგწონთ და ეს კი არა, თქვენი პოლიტიკური გემოვნებით არავინ არ მოგწონთ, ნუთუ კაცო არც სტალინი ვარგოდა, არც ბერია, არც ნიკოლოზ, არც ზვიად გამსახურდია, არც ედუარდ შევარდნაძე და ა.შ. აბა, ვინ ვარგა გაგვიმხილეთ რა, ეს საიდუმლო ჩვენ „ბოგანო“ ხალხს და იმას ვიწამებთ!... ნუთუ იმის განსჯის უნარი არა გაქვთ — (მიჭირს დაჯერება) რომ საქართველოს ხსენება კაცობრიობის ისტორიაში — (როცა ის შესაძლოა გეოგრაფიული ერთეული არ იქნება, ვგულისხმობ შორეულ მომავალს) უზრუნველყოფილია დავიწ აღმაშენებლის, რუსთაველის, სტალინის ბერიას სახელების წყალობით? არ თქვათ ახლა: როგორ ხუ საქართველო არ იქნებაო!... დიახ, იყო თავის დროზე ბაბილონიც, ასურეთიც, მაკედონიაც და ახლა კი აღგვილ არიან პირისაგან მიწისა, როგორც გეოგრაფიულ ერთეულები, მაგრამ ქვეყნის სახელები კი კვლავ ქუხან ჰამურაბის, ნაბუქოდონოსორის, ასურბანიპალის, ალექსანდრე მაკედონელის და მისთანების წყალობით. ტყუილია თუ არა ეს, დარწმუნებული ვარ თქვენ ამის გაკითხვა არ დაგჭირდებათ...

ჩვენისთანა ჭინჭრაქებისაგან ასეთი გიგანტების სახელის ხელყოფა მაფიქრებინებს: პირადი წყენა ხომ არ არის აქ? ვინმე ახლობელი წინაპარი ხომ არ ყავს დანახვრეტი თქვენგან? თუ ასეა, ვთქვათ პირდაპირ, თქვენ ხომ პირდაპირი კაცი ხართ სხვისთვის, ჰოდა თქვენთვისაც პირდაპირი ვიყოთ: დასახვრეტი იყო ალბათ და დახვრიტეს... ასე იყო ჩემთანაც: — ბიძაჩემი — (მამის ძმა) 14 წელიწადი აყურყუტეს ციმბირში, მამაჩემისათვის კი ხელი არ უხლიათ, რატომ? იმიტ, რომ ბიძაჩემი გადასახლების ღირსი შეიქმნა და გადაასახლეს, მამაჩემი კი არა! გადასახლების შემდეგ ბიძაჩემმა კიდევ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ სტალინის საყვედური ერთხელაც არ დასცდენია, მე სამართლიანად დამსაჯეს თუ არა, აქ სტალინი რა შუაშიაო-იცოდა თქმა... აღვნიშნავ იმასაც, რომ შეუგნებელი კაცი არ იყო!... აი, ასეთი სულგრძელი ადამიანების მწვავე დეფიციტი აქვს ახლა საქართველოს, დაბოღმილებით კი — სავსეა! თქვენ როგორ ფიქრობთ ახლა-მაშინდელი დიქტატურა ჯობდა ამხელა უკიდეგანო იმპერიაში როგორც იტყვიან: ბუზის გაფრენას რომ გაიგონებდი, თუ ახლანდელი „დემოკრატიაა“ როცა ქალლ ბატრონს ვერ იცნობს? ეს „ეროვნული“ — 90 კაპიკი, პური — 20 კაპიკი, ბენზინი —18 კაპიკი, მოსკოვამდე ავიაბილეთი — 35 მანეთი, რომ ღირდა თუ ახლა: შაქარი — 300 მანეთი, პური — 50 მანეთი, ბენზინი 250—300 მანეთი და მოსკოვამდე ავიაბილეთი — 20.000 მანეთი რომ ღირს? მართლაც სინდის-ნამუსზე ხელაღებული უნდა იყოს კაცი ხედავდე ყოველივე ამას და მაინც ჯიუტად ლანძღავდე წარსულს და ადიდებდე აწმყოს, და თუ აწმყოს არ ადიდებ, მაშინ წარსულს ნუ აძაგებ!.

მაშ ასე, შეეშვით წინაპართა საფლავებს ხვნას“ პირადი წყენისა და ამბიციების გამო, და თუ, კიდევ არ მოეშვებით, ამ ავკაცობას, მაშინ ერისკაცობას ნუ იჩემებთ!...

თუ უსამართლოდ ვწერ სადმე, კარგი იქნება თუ იკადრებთ და პირადი წერილით დამარწმუნებთ ამაში, თუ არა და თქვენი მადესკრიტებელი ვიქნები ყველგან, სადაც — კი ხელი მიმიწვდება!...

საშა ფრანგიშვილი

არ გეგონოთ, რახან პირადად გწერთ, საჯარო კამათს ვერიდებოდე, თუ თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ, მზად გახლავართ ამისთვისაც! მაგრამ ვშიშობ: ცენტრის ჟურნალისტმა რომ არ იკადროთ კამათი ვიღაც „პროვინციელ“ კოლეგასთან; თუ ასეთი აზროვნება იქნება, მაშინ „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს!“.

1993 წლის აპრილი

ამას წინათ გაზეთ „საქართველოში“ გამოვაქვეყნე პატარა წერილი სათაურით „შერეკილი“. წერილის გმირი გახლდათ ჩეჩნეთში გადახვეწილი ქალბატონი მ. შერვაშიძე. ეს ქალი არც გამახსენდებოდა და მასზე რაიმეს დასაწერად არც დროს მოვაცდენდი, რომ არა ისი ანტიქართული „მოღვაწეობა“ ჩეჩნეთში და სიძულვილით გაჟღენთილი მისივე რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ“.

პ სუხმა ყარ დააყოვნა და რედაქციაში მალე მივიღე ერთი ბობოქრებული მკითხველის პასუხი ამ სათაურით „მზია შერვაშიძის ფერხთა მტვრად არ ღირხართ თქვენ!.. რომლის დასტამბვას არ ვაპირებდი, აწ უკვე საზოგადოებრივი ღირებულება რომ არ შეეძინა. ვიდრე ფსევდონიმს ამოფარებული მკითხველის პასუხს გაგაცნობთ, თავს უფლებას მივცემ გაგახსენოთ ის პატარა წერილი, რომელმაც თურმე საქალთეის ნახევარი (პატიოსანის ნაწილი გადარია,

ნოდარ გრიგალაშვილი

შერეკილი

ამ რამდენიმე წლის წინ ენახე პირველად. გამომცემლობა „შერანის“ თანამშრომლებთან შემოვიდა და გამარჯობა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დაუყოვნებლივ კატასტროფულად უნიჭო ლექსის კითხვა დაიწყო. შეეატყვე ჭკუასუსტი იყო.

შეუხედავსა და ჩაგორგოლავებულს ჭკუაც არეული ჰქონდა, სიბრალულით ავივსე.

მას შემდეგ სად არ მინახავს, გააჩერებდნენ ქუჩაში ცნობისმოყვარე ნაცნობები და ამ შერეკილი ქალის ცერცეტობით ირთობდნ თავს.

...

მერმე მიტინგების ეპოქა დაიწყო.

საჯაროდ გამოსვლას გაბედულება სჭირდება.

ამ შერეკილ ქალს დიდი გაბედულება აღმოაჩნდა.

გამოვიდოდა ათასების წინაშე და იწყოდა ხალხი მისი საცოდა-ოლო...

ნათქვამია, თითო სოფელს თითო გიჟი უნდა ჰყავდესო. თითო მიტინგსაც „უხდებოდა“ თითო აბდალი და ამ სულელი ქალის დანახვაც არავის აღიზიანებდა, პირიქით, მატრაბაზობა მატრაბაზობა ერთგვარად ართობდა ხალხს...

მაგრამ...

ის გიჟი, წრეში რომ ჩაიყენებდნენ, ხან აცეკვებდნენ, ხან ამღერებდნენ, ხოლო როცა მოსწყინდებოდათ ტუნა ძალლივით წრიდან გაგდებდნენ ხოლმე. ერთ დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი აღიარებული ლიდერის ამალაშივიხილე. საქმეში ალბათ გიჟებიც არიან საჭირონი-მეთქი, ვიფიქრე და თვალი მის ამალაში ყოფნასაც შეეჩვია...

...

გავიდა დრო, ამალის მეთაური საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გახდა. იმ შერეკილ ქალს კი ახლა უკვე მთავრობის წევრთა შორის შინაურულად მოფუსფუსეს ნახავდით. თანდათან ტელეეკრანებზეც კი იწყო გამოჩენა და ერის დამოძღვრა...

პირველად გაოცებისა და აღშფოთების გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მისი მსგავსი იმდენი დედაკაცი მოგროვდა საქართველოს პრეზიდენტის გარშემო, რომ მისი იქ ყოფნაც უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა.

...

გასული წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან მოვიდა და მჯდომარე აქციას შემოუერთდა. იმჟამად პრეზიდენტის ბანაკიდან ისე პერმანენტულად გამოდიოდა პრეზიდენტის ერთგული ხალხი ოპოზიციის მხარეს, რომ ზ. გამახურდიას ერთგული შერეკილის ...

ზუსტად მეორე დღეს მთავრობის სახლის წინ ჩავიარე და ქუჩის კუთხეში მიმჯდარი ვნახე ეს უცნაური ადამიანი. დახლი გაეშალა და ჰყიდდა გაზეთს „საქართველოს ცის ქვე“, რომლის პირველ გვერდზე გამსახურდიას უზარმაზარი პორტრეტი მოსჩანდა.

გადავფურცლე, მთელი გაზეთი პრეზიდენტყოფილის აპოლოგიას ეთმობოდა.

ჩემი დანახვა „რედაქტორ“ — გამყიდველს არ ემცხეთა...

როგორც ჭირიანს, ისე გავეცალე და ჩემი გზით წავედი.

...

მცირე ხნის შემდეგ ის ცნობილი მოვლენები მოხდა და პრეზიდენტყოფილი თავისი „გზით წავიდა“. ის შერეკილი დედაკაციც თან წაიყვანა.

...

ის ყოვლად უცნობი, ბოდვითი გაზეთი, — „საქართველოს ცის ქვეშ“,რომელსაც, დასტურად ვამბობ, გიჟი რედაქტორობდა, ახლა გროზნოში გამოდის და საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ცნობილი იმით, რომ მისი რედაქტორი ახლა ქართველების გასანადგურებლად მოუწოდებს აფხაზთ.

ასეთი დედაკაცია პრეზიდენტყოფილის ამალაში. მისი გვარი და სახელია მზია შერვაშიძე.

მე და სხვა მცნობთ რომ გიჟი აქეთ წამოსვლაც არ გამკვირვებია, მაგრამ კითხვით მაინც ვკითხე აქეთ რამ მოგიყვანა მეთქი.

ვფიცავ ღვთის წინაშე, სიმართლეს ვამბობ, მოადო ამ დედაკაცმა პირი და ისეთი უშვერი სიტყვებით, ისეთი მპულვარებით ლანძღა პრეზიდენტი, ვერც ერთი დამთხვეული დედაკაცი ვერ მოახერხებს.

ახლა კი მკითხველის ზემოხსენებულ წერილს — „მზია შერვაშიძის ფერხთა მტვრად არ ღირხართ თქვენ“ — შემოგთავაზებთ.

ამხ. ნოდარ, მე არ ვიცი რამდენი შერეკილია ქვეყანაზე, ვიცი რომ ვინც ქალბატონ მზია შერვაშიძეს აუგად ახსენებს, ის თვითონ არის შერეკილიც და დამპალიც. რა დაგიშავა შე კალმით მკვლელო ამ სათნო ქალმატონმა? ნუთუ ის რომ საქართველოს დამოუკიდელობისათვის იბრძოდა, ნუთუ ის რომ ზვიად გამსახურდიას ამოუდგა გვერდში და შენი ბატონი „დემოკრატებისაგან დევნილი გროზნოშიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის? ხალხს ვერ აუხვევ თვალებს და ვერ შეაცდენ. ყველამ ყველაფერი იცის. შენ და შენნაირები იმიტომ ებრძვიან შერვაშიძეს და შერვაშიძისთანებს, რომ პრეზიდენტის ბოღმა გახრჩობთ. თქვენ არც ერთი ქალი არ შეგიყვარებთ. დიახ ჩვენ გვიყვარს და სიკვდილამდე გვეყვარება ბატონი ზვიადი.

თქვენმა წერილმა საქალთეის ნახევარი (პატიოსანი) ნაწილი გადარია. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ყველა ასე ეფიქრობთ. პატიოსანი ქალები და ისინი „დემოკრატ“ ჟურნალისტებს და „ავტომატიან“ მამებს რომ გიკრავდნენ ტაშს. შერეკილი და იმნაირი გვეგონა, თავმოგიჟიანებული, საქართველოს მტერი ყოფილა.

ვის ხელში ყოფილვართ, ამის წარმოდგენა ახლა მზარავს, იმ დროში მხოლოდ შეცოდების გრძნობა მჭონდა...

ღმერთო, გვიხსენ გიჟი ქალებისა და მათი კუმირებისაგან...

“მზია შერვაშიძის ფერხთა მტვრადაც არ ღირხართ თქვენ!..“

ქალები პარლამენტში მოიკითხე. ხოლო მზია შერვაშიძის ფერხთა მტვრადაც არ ღირხართ თქვენ! მე შენ მიტინგებიდან მახსოვხარ, მაშინ შენდამი პატივისცემაც კი მქონდა. ახლაც შეგიძლია ყველაფერი მოინანო, დაფიქრდე, მზია შერვაშიძის დიდ ადამიანობას ბოდიში მოუხადო და ეს წერილი გამოაქვეყნო. ღმერთი აუცილებლად შეგინდობს. ჩემს ვინაობას „დემოკრატების“ შიშით ვერ ვერრობით არ ვამხელ, ამის დროც დადგება...

ერთი მრავალთაგანი

ამ ბარათის მოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „რეზონანსში“ აი.რა დაიბეჭდა:

გამსახურდიამ გააგდო შერვაშიძე

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში გაზეთ „რეზონანსის“ საკუთარ კორესპონდენტს კახა შენგელიას ინტერვიუ მისცა ჩეჩნეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა აბდულხამიდ ხატუევმა. კითხაზე, თუ როგორ უყურებს ჩეჩნეთში გამომავალ გაზეთებს „საქართველოს ცის ქვეშ“ და დირექტორმა განაცხადა შემდეგი:

„მზია შერვაშიძემ, რომელიც ჩეჩნეთში უშვებდა გაზეთს. საქართველოს ცის ქვეშ“ დროებით შეაჩერა გაზეთის გამოცემა და დაიწყო ახალი გაზეთის გამოცემა, რომელიც ვრცელდება მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი ხელმძღვანელობით უკვე გამოვიდა რამდენიმე ნომერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან თუნდაც ერთი სტრიქონი დაწერა ამ გაზეთისათვის. ის არის სრულიად უვიცი ადამიანი. ყველა საგაზეთო ინფლორმაციას მას აწვდიდა სააგენტო „ჩეჩენპრესი“ ხოლო მის ფუნქციაში შედიოდა საშუამავლო გადარბენები რედაქციასა და სააგენტოს შორის, შემდეგ კი იგი სტამბაში მომუშავე მუშების დონეზე უშვებდა გაზეთს. გარბოდა პრეზიდენტ დუდაევთან და ეუბნებოდა რომ კარგი გაზეთი გამოუშვა და ასე კარგად ემსახურებოდა ჩეჩნეთის სახელმწიფო ინტერესებს. მზია შერვაშიძე დიდი ხანია ცხოვრობდა სასტუმრო „კავკაზში“. მან იქ აიღო დიდი

გაგრძელება მე 2 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ვალი, რამდენჯერმე შეჩნეული იყო სამთვრალეში, აწყობდა დებოშებს, რის გამოც გამოასახლეს სასტუმროდან. ვალი რომ დაეფარა მივიდა ჩეჩნეთის ნაციონალმრწველობის მინისტრთან ჯურდიევთან, ის კი ზემოდან დარეკვით იძულებული გახდა, რომ მიეცა მისთვის აპარტამენტი საუწყებო სასტუმროში. შერვაშიძემ სასტუმროს ნომერში დააყენებინა ჯაკუზნიანი კარები, რათა აეცილებინა თავდასხმა. ქალბატონ შერვაშიძის უბრალო სურვილიც კი ძალიან მაღალ დონეზე სრულდებოდა. მას არ გააჩნია არავითარი მორალური პრინციპები და შეუძლია დაეშხოს ყოველი ადამიანის ფეხქვეშ, ოღონდ კი მისი საქმე გაკეთდეს. სასტუმროში ის აწყობდა მიღებებს იტალიელ ჟურნალისტებთან ერთად. აგინებდა ჩეჩენ ხალხსა და მის გმირ პრეზიდენტ დუდაევს". იგი ნახეს მთვრალი, უნიტაზში თავწაყოფილი. მის გამო სასტუმროში იჩხუბეს პოლიციელებმა და იტალიელმა ჟურნალისტებმა. ყოველივე ამის შემდეგ, მან სასტუმროს დირექტორს სთხოვა ხუთი-ექვსი ნომერი, რომელსაც იგი გამოიყენებდა საჭიროებისამებრ, ხოლო ფულს კი გაიყოფდნენ. შერვაშიძეს სურდა, რომ იქ მოეწყო ბორდელი შეძლებული ადამიანებისათვის. ამის შემდეგ მინისტრი იძულებული გახდა გამოეგდო სასტუმროდან. შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნები ძალიან მიმდობნი ვართ და როდესაც ამბობდნენ რომ იგი არის აფხაზი, ლტოლვილი, რომელმაც დაკარგა ახლობლები ქართველი ექსტრემისტების მიზეზით, ყველას სურდა მისი სახლში წაყვანა, დაპურება, დასაჩუქრება. ყოველივე ამას იგი მარჯვედ იყენებდა, დადიოდა კოოპერატივებში, მცირე საწარმოებში და ითხოვდა ფულს ჩეჩნეთისათვის ძალიან საჭირო გაზეთის გამოსაცემად.

საახალწლოდ ჩვენ წავედით გამახურდიასთან, რათა ერთად შეეხვედროდით ახალ წელს. ბატონ ზვიადის პირველი შეკითხვა ის იყო, გვახლდა თუ არა მზია შერვაშიძე. ვინაიდან, შერვაშიძის სტუმრობა მისთვის ძალიან არასასურველი აღმოჩნდა, ყველანი უკან გამოვბრუნდით. გამსახურდიამ მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

როდესაც საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები შეეხვედით პრეზიდენტ დუდაევს, მე პირადად ვუთხარი მას, რომ ჩეჩნეთში გაზეთის მთავარი რედაქტორი გაუნათლებელი ადამიანია, ასეთი შემთხვევითი ადამიანები ჩვენს ხელისუფლებაში ბევრია და იწვევს მთელი ხელისუფლების დისკრედიტაციას. რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანება, რომლითაც გაზეთ მთავარი რედაქტორი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მიუხედავად ყოველივე ამისა, შერვაშიძემ განაცხადა, რომ იპოვიდა სპონსორებს და გამოუშვებს სხვა გაზეთს. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავის სიცოცხლეში ვერ გამოუშვებს ვერანაირ გაზეთს, რადგან მასთან თანამშრომლობაზე არავინ არ წავა".

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პრეზიდენტყოფილის მომხრეებს ალბათ უნდა ეგრძნოთ, რომ იმ ქალბატონის შესახებ მართალი დამწერია და ბოდიშის მოხდით მადლობაც უნდა ვთქვათ, რომ მათი ბანაკის ვიგინდარა წარმომადგენელი ვამხილე, მაგრამ საქმეში სარ?

აქამდე თუ შერვაშიძის მხილების გამო მლანძღავდნენ, ახლა თავადაც რომ დარწმუნდნენ მის „კი ქალობაში" მშვენიერი გამოსავალი მოძებნეს. წაიკითხეთ გაზეთ „დრონის" 23-ე ნომერი, სადაც მამუკა გიორგაძე წერს: ჩეჩნეთშიო „ბრალი დაგვდეს, რომ მზია შერვაშიძე აგენტად შეეუგზავნეთ გამსახურდიას"-ო...

დიდება შენდა ღმერთო, ყველაფერში დამნაშავე ჩვენა ვართ, მათ შორის გროზნოს ბორდელების საკითხშიც...

„მარტის იდები დადგა"... „მაგრამ ისინი ჯერ არ გასულა"...

(ანუ გავაძლიეროთ ჩვენი კუპონი)

ვინ არ იცის დიალოგი შემდგარი იულიუს კეისარსა და რომის ცნობილ მისანს შორის, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა კეისრისათვის: წარმატებებით თავბრუდახვეულმა რომის მბრძანებელმა არად ჩაგდო მისნის მიერ რამდენიმე ხნის წინ მისთვის მიცემული რჩევა, რომ კეისარი გაფრთხილებოდა მარტის იდებს (თვეს), რადგან ჰოროსკოპის მიხედვით აღნიშნულ თვეს დიდი უბედურება მოჰქონდა მისთვის...

დადგა მარტის იდები, მაგრამ კეისრისათვის მას არავითარი უბედურება არ მოუტანია. პირიქით, რამდენიმე ნიშანი სასიკეთო მოვლენებზე მიუთითებდა, და აი ასეთ ვითარებაში სენატის მორიგ სხდომაზე მიმავალმა მბრძანებელმა, სენატის შენობის წინ შეგროვილ ადამიანებში შეამჩნია რა მისანი, მას ნიშნის მოგებით გასძახა „ხომ დადგა მარტის იდები?"... მისანმაც არ დააყოვნა და უპასუხა „დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულა"... შედეგი ცნობილია მბრძანებელი დაიღუპა...

...ყოველგვარი დრამატიზირებისა და იდენტურობის გარეშე უნდა ითქვას, რომ რაღაც მსგავსი რამ ხდება დღეისათვის ჩვენი ეროვნული ვალუტის პირველი ვარიანტის — კუპონის მიმართ. ისინი, ვინც ხელმძღვანელობდნენ მის გამოშვებას და აგრეთვე ზოგიერთი ისიც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კუპონების გამოშვებასთან და არც რაიმე ცოდნა გაჩნია ფულის მიმოქცევის (გასაკუთრებით კი ინფლაციის პერიოდების ფულის მიმოქცევის დარგში), გაძლიერებული ოპტიმიზმით აფასებენ კუპონების გამოშვების პირველ შედეგებს ჩვენს რესპუბლიკაში და ხმამაღლა გაიძახიან „აი, ნახეთ რა კარგად მიიღო კუპონი მიმოქცევამ"... დიახ, მიიღო მაგრამ ჯერ ის არ გაბატონებულა მიმოქცევაში. იმისათვის კი, რომ კუპონი გაბატონდეს და მტკიცედ დამკვიდრდეს მიმოქცევაში და იქცეს მომავალი ქართული ფულის რეალურ წინამორბედად აუცილებელია სათანადო პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ღონისძიებების გატარება, რაც სამწუხაროდ ჯერჯერობით არა და არ ხორციელდება...

კუპონი რომ „კაგად" მიიღო მიმოქცევამ ამაში არაფერი ახალი და მოულოდნელი არ არის. ინფლაციებისა და ახალი ვალუტების ისტორიიდან ცნობილია, რომ ყოველ ახალ ვალუტას მიმოქცევა პირველ ეტაპზე ძალზე კარგად იღებს. ეს გასაგებიცაა, მიმოქცევის ძველი საშუალებები გაუფასურებულია, თანაც მათი ძალზე დიდი დეფიციტია და ადამიანები ახალ ნიშნებზე ამყარებენ თავისი მიმდინარე და მომავალი მდგომარეობი გაუმჯობესების იმედებს. ეს სიტუაციები განსაკუთრებით ძლიერი იყოს საქართველოში. მეტროპოლიის ფულს ნიშნები დაჩქარებული ტემპებით უფასურდებოდა (მარტი 1992 წელს საბჭოთა მანეთი 2500 პროცენტით გაუფასურდა) და რაც მთავარია ცენტრის მიერ რესპუბლიკისათვის ფულისნიშნების მიუწოდებლობის გამო მოსახლეობას არ ჰქონდა მიღებული ოთხი-ხუთი თვის ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, სხვა გადასახდელები. მათი უქონლობის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შიმშილობდა კიდეც. იგივე ფულის ნიშების უქონლობის გამო ვერ ახორციელებდნენ შესყიდვებს, ანგარიშსწორებებსა და სხვა ოპერაციებს წარმოება — დაწესებულებები. ასეთ ვითარებაში კუპონი კი არა, ხის ნაფოტიც რომ გაშვებულიყო მიმოქცევაში, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება, ადამიანები (მაშასადამე მიმოქცევაც) მასაც მიიღებდნენ.

ასე, რომ „კარგად მიღება" ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს. მთავარია მისი დამკვიდრება და განმტკიცება. ამისათვის კი „იდეაც" ბევრია საჭირო და ძალისხმევაც. ახალი ვალუტების შემოღების მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ თუ ფულის ახალი ნიშნები სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი საქონელთა მასებით, წარმოების ზრდით, უცხოური ვალუტის მარაგებით და სხვა ფასეულობებით, მაშინ ისინი მიუხედავად მიმოქცევის მიერ მათი „კარგად მიღებისა" 2—3 თვის შემდეგ იწყებენ მზარდი ტემპებით გაუფასურებას და გაუფასურების მასშტაბებით მნიშვნელოვნად აჭარბებენ თავის წინამორბედებს. აქვს თუ არა რესპუბლიკას საქონელთა მასები, წარმოების ზრდა, უცხოური ვალუტის (თუნდაც რუსეთის) და სხვა ფასეულობების ისეთი მარაგები, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლადგამოშვებული ქართული კუპონის კურსის სიმტკიცე ან მისი აწევა მომავალში? რა თქმა უნდა არა და არც ექნება უახლოეს მომავალში; მიზეზი გასაგებია: რესპუბლიკის ეკონომიკა ისეა მოშლილი და პარალიზებული, რომ საკუთარი ძალებით მისი აღდგენა და სათანადო ეფექტურობით ამუშავება უმოკლეს ვადაში იმ მასშტაბებით, რომ ბნ უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის სიმტკიცე, დააპუროს, შემოსოს და გაათბოს მოსახლეობა, აბსოლუტურად გამორიცხულია. (აღარაფერს ვამბობთ სხვა პრობლემების გადაჭრაზე). ეს ანაბანა ძალზე კარგად იცოდნენ ცივილიზებულ ქვეყნებში (რომ მოშლილი ეკონომიკისა და გაუფასებული ვალუტის პირობებში მხოლოდ საკუთარი ძალებით მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია) და ფულისრეფორმებისგატარებისას ფართო მასშტაბებით მიმართვადნენ უცხოურ დახმარებებსა და კრედიტებს. ასე გააკეთეს გერმანიამ 1948 წელს, საფრანგეთმა — 1958 წელს, ინგლისმა — 1967 წელს და ა.შ. აღნიშნულმა ქვეყნებმა თვისი ფულადი რეფორმებისა და ვალუტების განმტკიცების მიზნით აიღეს მილიარდიანი კრედიტები აშშ-დან, სავალუტო ფონდიდან, საერთაშორისო ბანკიდან. თუ ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას, რომელთა ც ჩვენთან შედარებით არა ნახულად უკეთესი ტრობებიჰქონდათ ფულად რეფორმების ჩატარებისათვის უცხოური დახმარებები და კრედიტები დასჭირდათ, ისინი მით უმეტეს საჭირონი და აუცილებელნი არიან ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომლის ეკონომიკა ფაქტიურად არ მუშაობს, საბანკო რესურსები დალეულია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი აღწევს ასტრონომიულ მასშტაბებს და მოსახლეობის 80 პროცენტი სტაბილურად შიმშილობს...

ასე, რომ რომ თუ არ იქნა აღებული უცხოური კრედიტები, ძალე კუპონების გაუფასურება დაიწყება და ქვეყანაში მომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ფულად-საფინანსო და საკრედიტო კრიზისის შემდგომ გაღრმავებაზე.

მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს ის, რომ საკუთარი ვალუტა (კუპონი) ისე იქნა გამოშვებული, რომ წინასწარ ფაქტიურად არავითარი ეკონომიკური მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები სისტემატურად წერდნენ და აცხადებდნენ მის საჭიროებაზე (არადა საქართველოს ძალზე კარგი გამოცდილება აქვს ამ მიართულებით 1918—1921 წლების ხელისუფლების საქმიანობიდან, როცა მათ ჯერ ქართული ბონდი შემოიღეს — მერე კი დაიწყეს ქართული ფულისგამოშვებისათვის ზადება). ზოგიერთი იმასაც აცხადებს, რომ ასეთი მდგომარეობა იმითაა გამოწვეული, რომ რუსეთმა „პირი გვიშალაო", ნიშნების მოწოდება მოულოდნელად შეგვიწყვიტეს. რა თქმა უნდა ეს საბუთი არაა. რუსეთის არავითარი პირი არ უშლია ის მოიქცა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. მის ასეთი ნაბიჯის შესაძლებლობაზე ჭარფველი ეკონომისტი — მეცნიერები ჯერ კიდევ ორი სამი წლის წინ წერდნენ. ასე რომ, რუსეთი აქ არაფერ შუაშია, ისინი დოყლაპიები ვინც ეს საფრთხე ვერ დაინახა და ვერ მოამზადა რესპუბლიკა „დღე ისათვის", არ დააგროვა თავისი ვალუტის სიმტკიცის უზრუნველყოფის სასაქონლო, სავალუტო, საკრედიტო და საბიუჯეტო მარაგები. ყოველივე ეს კი ახალი ვალუტის ეკონომიკის შენების მძლავრ იარაღად გადაქცევას უახლოეს მომავალში ძალზე საეჭვოს ხდის...

რაც მოხდა მოხდა. ეხლა საჭიროა სასწრაფო ეკონომიკური პოლიტიკური და სოციალური ღონისძიებების გატარება, ინააღმდეგ შემთხვევაში კუპონების გაუფასურება გარდაუვალია, თანაც რაც მთავარია ის მიიღებს ძალზე მძიმე ხასიათს. პირველი სიმპტომები სახეზეა: თბილისში შავ ბაზარზე 1 დოლარი ღირს 900 საბჭოური მანეთი, მაშინ როცა იგივე 1 დოლარი კუპონებში ღირს 1400 კუპონი. მთელ რიგ მაღაზიებში და სხადასხვა ეკონომიკურ გარიგებებში აღარ იღებენ კუპონებს, თხოულობენ ან მანეთებს ან დოლარებს. საქმეში ჩახედული ადამიანისათვის ეს მანიშნებელია იმისა, რომ მართალია „მარტის იდები დადგა".. მაგრამ ისინი ჯერ არ გასულა"...

ვიმეორებ, კუპონების შემოღება აუცილებელი იყო. ახლა აუცილებელია სასწრაფოდ გატარდეს ღონისძიებები მისი კურსის შესანარჩუნებლად

ზოთა ქისტაური

გორის სახელმწიფო
ეკონომიკური
ინსტიტუტის ფინანსების,
ფულის მიმოქცევისა
და კრედიტის კათედრის
გამგე პროფესორი

სამშობლოსათვის თავგატეხილი

ამასწინათ ხმა გავარდა, ბატონ გიორგი ხოშტარიას მიტინგზე წესრიგის დამცველებმა ხელკეტით თავი გაუტეხესო. დავგეიწმუნებით, შეუძლებელია თავგატეხილი ადამიანი არ შეგებრალოს და თანაც —სამშობლოსათვის თავგატეხილი.

ჩვენ გვინდა გულისტკივილი გამოვხატოთ ამ ფაქტის გამო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია საწინააღმდეგო აზრიც: ბატონი ხოშტარიასათვის თავი უფრო მაგრად უნდა გაეტეხათო.

ჭორი თუ ახალი გადატრიალება?

როგორც ტელევიზიით შევიტყვეთ, ბატონმა თენგიზ კიტოვანმა უარყო გარცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს თავდაცვის მინისტრი სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას მოითხოვდეს. ამგვარი ჭორები ბატონმა მინისტრმა საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთიანობის მტრებს მიაწერა, თუმცა ცნობილი გამონათქვამის მსგავსად, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, ეს ჭორები ლოგინში მოწვრიალე და მბორგავი გადატრიალების მოსურნეთა სიზმრების შედეგი იყოს.

კიდევ კარგი...

გაზეთ „არჩევანის" 22 აპრილის № 3-ში სათაური „გამოვთქვამთ პროტესტს", გამოქვეყნდა სამართლიანობის აღდგენის კავშირის — „ხმა ერისა"-ს საპროტესტო განცხადება: „სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა" გამოთქვამს პროტესტს ფაქტიური ხელისუფლებისთვის მიერ ა.წ. 14 აპრილს, ქართული ენის დღეს თბილისში, რუსთაველისა და კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლთან ჩატარებული მიტინგების სასტიკი დარბევის გამო და მოუწოდებს ხელისუფლებას შეწყვიტოს საკუთარი ხალხის წინაშე ძალისმიერი პოზიციებიდან საუბარი"

აქ აღნიშნული დარბეული მიტინგის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა, მათ შორის ჩვენს გაზეთშიც და ამჯერად ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. გვინდა, მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზე გავამახვილოთ, რომ სამართლიანობის აღდგენის კავშირი — „ხმა ერისა" დღევანდელ ხელსუფლებას ფაქტობრივს უწოდებს. ხელისუფლებისადმი ამგვარი დამოკიდებულებისათვისაც შეიძლება ყურადღება არ მიგვექცია, რადგან დღეს ჩვენში არც თუ ცოტაა ამ ჭკუაზე, მაგრამ აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაცია თავადაც იღებდა მონაწილეობას ამ პარლამენტის არჩევნებში და მათი წყრომის მზეზი ის ხომ არაა, საერთოდ, ეს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარძლები რომ ვერ მოიპოვეს ? თუ სამართლიანობის აღდგენის კავშირს სამართლიანობის აღდგენ „უკანონო არჩევნებში" მონაწილეობით სურდა?

ეჰ, დღეს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი რამაა გაუგებარი, უცნაური და რამენაირად ამ ერთ-გ უგებრობასაც აიტანს კაცი, მაგრამ ... „ხმა ერისა"-ს არჩევნებში ხმების უმრავლესობა მოპოვებინა, მერე მ მოსულიყო და ეძახა, მე ფაქტობრივ ... ხელისუფლება ვარ, არაფერი დამიშ... როთ, ნურაფერს დამეკითხებით, დ... ცით კარვები, ატარეთ მიტინგები ... რაცა გწადიათ ისა ჰქენით, კისერი ... ტეხიათო, მართლაც, რა თავში ქვა ... და გვეხალა?

კიდევ კარგი „ხმა ერისა" ისეთ ... ლისუფლებას უწოდებს ფაქტობრ... , რომლის შემადგენლობაშიც თვი... არ შედის, კიდევ კარგი...

ვახტანგ კომახიძ...

ფ ო ტ ო ჯ

„პუტჩისტ“ მწერალთა დახეული წიგნები...

მკითხველი მაინც მკითხველია

ავთანდილ რცხილაძე — „ბევრი რამ ახსოვს ჩემს ბიჭობასა“

„შენ...

„შეერთდით შეერთდით შეერთდით“...

ᲠᲘᲡᲞᲘᲠ

მაინც ამოვთ...

ნისაჭი

ჯემალ კასრაძის არქივიდან

ორპალატკიანი პარლამენტის პირველი პალატა

ლისი გიყვარდა“

„ჩვენი ყოფის თავი და ბოლო“...

წერეთლის კუსტარული ბარიკადები...

სატელეფონო სექსით შეკმაზული რევანშიზმი

მიხეილ სააკაშვილი

გაზეთი „დემოკრატიული საქართველო“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „დემოკრატიული კავშირის ორგანო“, თავისებურად გამოეხმაურა გაზეთ საქართველოში“ დაბეჭდილ ჩემს წერილს „დაგომისის დოქტრინის დასასრული“. თავისი უკანასკნელი ნომრის პირველ გვერდზე ამ გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „სააკაშვილი ჭკუას არიგებს შევარდნაძეს“. მართალი გითხრათ, ჩემი ოპონენტებისაგან ასეთ საჩუქარს არც ველოდი. როდესაც პოლიტიკაში შედარებით ახლახან ჩაბმული ადამიანის გვარს დიდი ასოებით ბეჭდავენ პირდაპირ გაზეთის დასახელების ქვეშ და თანაც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ გვართან ერთად, არ შეიძლება თავი დავალებულად არ იგრძნო. ამ შემთხვევაში უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, რომ თავად სტატია პოლემიკის ელემენტებს მოკლებულია და ძირითადად ლანძღვა-გინებას შეიცავს. ერთი ცნობილი პოლიტიკოსის არ იყოს, ზოგჯერ მთავარი ის კი არ არის, თუ რას წერენ შენზე, არამედ ის, რომ დაწერის დროს გვარი არ დაამახინჯონ. არც ბეჭვდითი საშუალების შერჩევით უნდა ვიყო უკმაყოფილო. მკითხველს შევახსენებ, რომ ორგანო „დემოკრატიულმა საქართველომ“ 11 ოქტომბრის არჩევნების წინ დაიწყო გამოსვლა. მის მაშინდელ პოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავდა ეროვნული მოძრაობის მიერ არჩევნებში წამოყენებული კანდიდატების „მხილება“ და დაუნდობელი გამათრახება. ხოლო ვინაიდან სალანძღავი ინტონაციებით ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერავის გააკვირვებ, ეს ორგანო თავის ყველა ნომერში შესაშური ერთგულებით სტამბავდა სექსის ვარსკვლავთა და რიგითი „პუტანების“ ცხოვრების აღმწერ მასალებს. არჩევნების შემდეგ „დემოკრატიული საქართველო“ სადღაც გაუჩინარდა. ახლა კი ისევ წამოყო თავი. ეტყობა მოშრავლდნენ სამხილებელნი და გასამათრახებლები. აღორძინებული ორგანოს პირველი სამიზნე ჩემდა მოულოდნელად მე აღმოვჩნდი. თუ ვინმე პირველწყაროს მოძიებას მოისურვებს, მოგახსენებთ, რომ ზემოხსენებული სტატია მოქცეულია ბ-ნ ა. მარგიანის „სასიკეთო ეროვნული საქმიანობისადმი“ მიძღვნილ სამგვერდიან მასალასა და მოსკოვის სატელეფონო სექსის ბიუროს მფლობელთან ვრცელ ინტერვიუს შორის. აჩქარება არ არის საჭირო. გაზეთი უკვე მესამე კვირაა დევს ნებისმიერ საგაზეთო ჯიხურში. ეტყობა დღეს აღარც სატელეფონო სექსს სჭირდებათ, რომ მოცემულ წერილში „მისი ბიოგრაფიული ხარვეზები გვეშალა და იმისათვის გაგვეკილა კომკავშირული იყო თუ მონკავშირელი“ (ჩემი შენგითხარიო, ნამდვილად ეს შემთხვევაა), არამედ თურმე იმისათვის, რომ მისი ცენზი და დამსახურება თუ ვერაფერს შემატებდა უსუსურ მსჯელობას, იმაში მაინც დაგვარწმუნებდა, რომ ჰყავს მაინცადამაინც მუშტარი. ჰოდა გთხოვთ, მომიტევოთ პრესის ყურადღებით გაუნებივრებელ კაცს, თუ ვერ გავუძელი ჯიხურთა ფანჯრებში სამი კვირის განმავლობაში მსხვილი ასოებით აკრეფილი საკუთარი გვარის ყურებას და პასუხის დაწერა გადავწყვიტე.

მაგრამ მარტო პატივმოყვარეობამ როდი ამაღებინა კალამი ხელში. „დემოკრატიული საქართველოს“ სტატია რომელიც „უსუსური“, „ახალგამომცხვარი“, „ქუჩური“ და სხვა მსგავსი ეპითეტებიაა სავსე, სხვა დროს შეიძლება იაფფასიან პროვოკაციადაც მიმეჩნია და პასუხის ღირსად არ ჩამეთვალა, თუ არა ის გარემოება, რომ ამ სტატიაში კონცენტრირებული გამოსახულება ჰპოვა პოზიციამ, რომელიც ინტენსიურად იკიდებს ფეხს ბოლო დროს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მასობრივი ინფორმაციის წყაროებში — ოპოზიციური აზრისადმი აბსოლიტური მოუთმენლობა, ცივილიზებული პოლემიკის ნაცვლად გაღიზიანებული ტონი, ოპონენტის დისკრედიტირებისათვის ნებისმიერი ხერხის გამოყენება, ისტორიის რევიზიის მცდელობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც წარსულ და არც თუ ისე წარსულ დროთა განუყოფელი ატრიბუტი იყო.

„დემოკრატიული საქართველოს“ სტატიის თითქმის მთელი პირველი ნახევარი ეძღვნება ჩემი ვინაობის გარკვევას, თანაც „ვინმე სააკაშვილის“ პიროვნების დადგენა თურმე იმისათვის არ ჰქონდა საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკის შემოქმედთა გაქიაქების უფლება“.

მდგომარეობის პიკანტურობა იმაშია, რომ თავად „დემოკრატიული საქართველოს“ სტატიას ხელს ფსევდონიმი აწერს. თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს. ჩვენი მიზანი პიროვნების ავკარგიანობის განსაზღვრა და დამცირება არ არის. საქმე ეხება მსოფლმხედველობას, რომლის მატარებლადაც გვევლინება ავტორი, თავის თავს ლევან თარგამაძეს რომ უწოდებს.

ვფიქრობ, ავტორი მთლად გულწრფელი არ უნდა იყოს, როდესაც ჩემი ვინაობის გარკვევას ცდილობს. სტატიის შინაარსი ნათელყოფს, თუ რამდენად კარგი შედეგებისათვის მიუღწევია მას ჩემი ბიოგრაფიული მონაცემების დადგენის საქმეში. არ ვიცნობო, დაწერა, მაგრამ იქვე ქვემოთ ჩემი ასაკიც წამოცდა, განათლების ცენზიც და პოლიტიკური მსოფლმხედველობაც.

ეს ისე, მკითხველის დასაბნევად წერს გაზეთ „საქართველოს“ მკითხველთათვის უცნობი სააკაშვილიო, რადგან მე ამ გაზეთის ყველა ნომერს ვკითხულობ და მისი არც ერთი სტატია არ მახსოვსო“, თორემ შემდეგ ჩემი და ჩემი თანმოაზრეების სტატიიდან ბრჭყალებში ჩასმული ციტატაც კი აქვს მოშველიებული. რა ვქნათ, ეტყობა ასეთია „ორგანოში“ წერის წესები.

შემდეგ ავტორი „საქართველოში“ დაბეჭდილი სტატიის სათაურს აპყრობს მზერას. უცხოური სიტყვა „დოქტრინა“ ეტყობა ყურისათვის გამაღიზიანებლად ჟღერს და ამიტომაც მას, ჩანს, უფრო ახლობელ „ჟობკრინას“ უპირისპირებს.

ამგვარი ლინგვისტური ვარჯიშის შემდეგ ავტორი უშუალოდ გადადის სტატიის პოლიტიკურ დებულებებზე და სჩივის, რომ მათი გაშიფრვა მხოლოდ ტმუტარაკანის ბრძენთ შეუძლიათო. ტმუტარაკანის ბრძენობაზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ოპონენტის პატივისცემა მაიძულებს განვუმარტო მას გაზეთ „საქართველოში“ ჩემს მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. მით უმეტეს, რომ სტატიის გამოქვეყნებიდან გასულ დროში ბევრმა მათგანმა საბედნიეროდ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საუბედუროდ დადასტურება ჰპოვა.

აღნიშნული სტატია შეეხებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს და უფრო სწორად კი ამ კურსის ცვლილებას. მაშინ მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მეთაურის პარლამენტში 16 მარტს გამოსვლის შემდეგ, როდესაც მან დააფიქსირა რუსეთ—საქართველოს კონფლიქტის არსებობა, ჩვენმა ქვეყანამ თანდათან დაიწყო რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა და პრობლემების მოგვარების გარანტიების მოსკოვში ძიების ნაცვლად, გადადგა ნაბიჯები საერთაშორისო ორგანიზაციებთან უფრო მჭიდროდ თანმშრომლობისაკენ, სამყაროსთან ურთიერთობების პოტენციალის უფრო ნაყოფიერად გამოყენებისაკენ. ამას არ შეეძლო სასიკეთო შედეგები არ მოეტანა. მართალია ეს აზრი არ გაიზიარა პატივცემულმა ოპონენტმა „აქაოდა კლინტონი პირდაპირ გადაგვყვებოდაო“. მაგრამ საბედნიეროდ ჩემი პროგნოზი გამართლდა. და ვანკუვერის შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტმა მართლაც წამოჭრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი. თუ არა 16 მარტი, არც ამერიკელთა ამ განცხადებას ეჭნებოდა ადგილი. არ იყო გაზიარებული აგრეთვე ისიც, როდესაც მე ეჭვი შევიტანე რუსეთის ხელმძღვანელებთან პირად კონტაქტებზე მეტისმეტი იმედების დამყარებაში. ამ თეზისის გასაქარწყლებლად ოპონენტმა სკკპ ცკ-ს პლენუმის მასალებიც კი დაიმოწმა. ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი კარგად იცნობს ამ მასალებს, მაგრამ ჩვენი განხილვის საგანთან მათ საერთო არაფერი აქვთ. მხოლოდ იმის აღნიშვნა მსურდა, რომ დაუშვებელია ჯენტლმენური შეთანხმებები მხარესთან, რომელიც არასოდეს იქცეოდა ჯენტლმენურად. სამწუხაროდ ეს დაადასტურა ელცინის უკანასკნელმა განცხადებამ აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნის შესახებ. მავანმა შეიძლება რუსეთის პრეზიდენტის ეს ნაბიჯი წინასაარჩევნო მანევრად მიიჩნიოს. რეალობა კი ის არის, რომ ამ მანევრს ახალი უდანაშაულო სიცოცხლეები შეეწირა, ვინაიდან განცხადებას მაშინვე ფრთებშესხმული სეპარატისტების გააქტიურება მოჰყვა.

არ შევუდგები ჩემი სტატიის ფაქტოლოგიური მხარისადმი წაყენებული კონკრეტული ბრალდებების უფრო დეტალურ გაანალიზებას, მითუმეტეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, პუბლიკაცია ასეთ დაკონკრეტებას ნაკლებად შეიცავს. გადავალ ოპონენტთა „იდეოლოგიურ პოსტულატებზე“. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორი ასრულებს „დემოკრატიული საქართველოს“ ყველა ავტორისათვის აუცილებელ რიტუალს, რათა დაამტკიცოს, რომ იგი რომის პაპზე მეტად მორწმუნეა და ხმას იმაღლებს ე.შევარდნაძის პიროვნების დასაცავად. კერძოდ იგი წერს: „მჯერა, საპასუხო წერილი იქნება, იმის მტკიცებაც, რომ არა მე შევარდნაძე კი არ გამიკრიტიკებია, საგარეო პოლიტიკა გავაკრიტიკეო, თითქოს არსებობდეს ჩვენი საგარეო პროლიტიკა შევარდნაძის, ჩიკვაიძის გარეშე“. ერთი სული აქვს ჰვტორს, რომ დავიყვირო არა, როგორ გეკადრებათ, მე სწორედაც რომ ბ-ნი შევარდნაძე გავაკრიტიკეო. და ამით თი-

თქოს საბოლოოდ გაგანადგუროს მკითხველის თვალში. არ მინდა, რომ ბოლომდე გავუცრუო მას იმედი და ვიტყვი, რომ თავისთავად არაფერი განსაკუთრებული არ არის იმაში, რომ მე ან ნებისმიერი მოქალაქე ეკამათოს ბ-ნ ე. შევარდნაძეს. იგი ხომ სახელმწიფოს მეთაურია. მის მიერ გატარებული პოლიტიკა ამ სახელმწიფოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს შეეხება და ამიტომაც თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მოიწონოს ან არ მოიწონოს ის, რაც მას შეეხება. საბედნიეროდ, ბ-ნი ე. შევარდნაძე ბევრად უფრო თვითკრიტიკულია, ვიდრე მისი ზოგიერთი „დამცველი“ და სწორედ მისგან არაერთხელ მოგვისმენია მსჯელობა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში არსებული ხარვეზების შესახებ.

აღნიშნული ჩემი სტატიის ძირითადი აზრი ის იყო, რომ მისასალმებელია საქართველოს ხელმძღვანელის მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები და კარგი იქნებოდა, რომ მისი ავტორიტეტის გამოყენებით საგარეო პოლიტიკურ წარმატებების მიღწევას ხშირად წინ არ ეღობებოდეს კომპეტენტური სამსახურების არაკომპეტენტურობა. ამასთანავე მე არავის გაქიაქება არ დამისახავს მიზნად. საყვედური სხვებთან ერთად ალბათ მეც მეხება, რადგანაც გარკვეული მაქვს საგარეო პოლიტიკურ სფეროსთან.

საკმარისია ოდნავ განსხვავებული აზრი გამოთქვას და ის მაშინვე აღმოჩნდება ხოლმე შეხმატკბილებული ყურადღების არეში. ეს ორკესტრი უნისონში და საკმაოდ ხმამაღლა მოითხოვს ოპოზიციურ აზროვნებასთან, არა ქმედებასთან, არამედ სწორედ აზროვნებასთან ბრძოლას, გაზეთების აკრძალვას, პარლამენტის დათხოვნას, იმ მოტივით, რომ დღეს საქართველო ერთმა ადამიანმა უნდა მართოს. კლასიკურ ნიმუშად გვევლინება „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამას წინათ დაბეჭდილი ერთი მეტად პატივცემული პიროვნების წერილი. ამ წერილში შავით თეთრზე სწერია, რომ დღეს საქართველოში ნებისმიერი ოპოზიცია არის მტრული. არადა ამ კაცს ჩემზე კარგად უნდა ახსოვდეს, თუ რა მოუტანა ჩვენს სამშობლოს სტალინის ცნობილმა დოზუნგმა „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“.

კეთილი. ერთი წუთით დავუშვათ, დავითხოვეთ ამჟამად მოქმედი პარლამენტი და მთელი ძალაუფლება გადავეცით ერთ ადამიანს. ვიღაცის მეშვეობით ხომ უნდა მართოს მან და აი, სწორედ აქ აქტიურად ნერგავენ მართვის პროფესიონალების ცნებას. ამ პროფესიონალებში კი, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, იგულისხმება ყოფილი პარტიული ნომენკლატურა. ასე, მაგალითად, აღნიშნული სტატიის ავტორი აღაშფოთა პარლამენტში გამოთქმულმა აზრმა, რომ გაეროში წარმომადგენლად დაენიშნათ ადამიანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. „იქნებ გვეგულება ვინმე აღნიშნულ მოძრაობაში მონაწილე, რომელიც გაეროში წარმომადგენლად და აშშ ელჩად გამოდგება?“ — წერს იგი და ამით არა მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას არამედ მთელს ჩვენს ერს შეურაცხყოფს. ამ მოძრაობაში ხომ ერის საუკეთესო ნაწილი იყო გაერთიანებული და ისე რა უჭირდა საქართველოს, რომ მისი წარდგენა საზღვარგარეთის ქვეყნებში ყოფილი რუსი ჩინოვნიკების მეტმა ვერავინ შეძლოს (ცხადია, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ კონკრეტულად ბ-ნ პ. ჩხეიძის პიროვნებას). ავტორმა კარგად უნდა უწყოდეს, რომ ჩინოვნიკთა წრეში მოხვედრა საქმიან კრიტერიუმებზე მეტად სხვა გარემოებებით იყო ხოლმე განპირობებული. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გვერდიდან მოსულ ადამიანს გაცილებით უკეთ აუღია ალღო და საქმეც გამოსვლია. ისეც ხდებოდა, რომ ბიუროკრატიულ მანქანას ზოგჯერ რაღაც მექანიზმი უჟანგდებოდა და მისი რომელიმე რგოლი საერთო ჯაჭვიდან ამოვარდებოდა. სხათა შორის, ეს ყველაზე ნათლად დაადასტურა თავად ე. შევარდნაძის ბიოგრაფიამ. იგი დიდი იმპერიის საგარეო პოლიტიკურ სამსახურს ყოველგვარი დიპლომატიური გამოცდილების გარეშე ჩაუდგა სათავეში და უცებ აჯობა მრავალი წლის განმავლობაში გაწვრთნილ ჩინოვნიკებს. „ლევან თარგამაძე“ იხსენებს ე. შევარდნაძის მოქმედებას საბჭოთა კავშირში პუტჩის მცდელობის დროს. ჰოდა. რადგან ეს თემა წამოიჭრა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ, როცა ბ-ნი ედუარდი მიტინგზე გამოდიოდა და ხალხს წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდა,, იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის რანგის ზოგიერთი მატარებელი აქტიურად თუ უბრალოდ მორჩილად ასრულებდა გეკაჩეპეს თითოეულ მითითებას. იმიტომ კი არა, რომ ასე სჯეროდა, არამედ იმიტომ, რომ შეეჩვია იმპერიის თითოეული ბრძანების ერთგულად შესრულებას. ჰოდა, ახლა მითხარით, ე. შევარდნაძე და ეს ხალხი ერთნაირად დაიცავენ ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს. ჯხლა, როდესაც პოლიტიკა იმპერიასთან დაპირისპირების ფაზაში გადავიდა, ამ ინტერესების დასაცავად პირველ რიგში ის თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებით უნდა შეირჩეს, რომლებსაც ეს იდეა თავის თავში აქვთ გატარებული. იმან, რომ დღეს ყოფილი პარტისტორიკოსები პოლიტოლოგებად, პოლიტეკონომისტები ეკონომისტებად, ცეკას ყოფილი ინსტრუქტორები კი მენეჯმენტის სპეციალისტებად იწოდებიან, უმრავლეს შემთხვევაში ვერც ერთ დარგს ვერაფერი შემატა. სწორედ ეს ხალხი ებრძვის აქტიურად განსხვავებულ პოზიციას, ვინაიდან კარგად იცის, რომ ვერ გაუძლებს ნებისმიერ თავისუფალ აზრთან კონკურენციას. ისინი არასოდეს აპატიებენ თავად ე. შევარდნაძეს რუსეთისადმი ზურგის შექცევას, ვინაიდან მათთვის ეს მსოფლმხედველობის რღვევას ნიშნავს და ახლის გამომუშავება მათ აღარ ძალუძთ.

ყოფილი ნომენკლატურა ჯერჯერობით სარგებლობს წარსული შედარებით მაძღარი ცხოვრებისადმი ხალხში არსებული გარკვეული ნოსტალგიით. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ძალაუფლების კვლავ ჩაგდების შემთხვევაში ისინი ძველ კეთილდღეობას მხოლოდ საკუთარ თავს დაუბრუნებენ, ისიც ცოტა ხნით, სანამ ხალხი არ გამოერკვევა და არ შეელევა მათ. სხვათა შორის, ამ შემთხვევისათვისაც აქვთ მომზადებული რეცეპტი. „ლევან თარგამაძე“ წერს: „საქართველოს შეიძლება დაემუქროს ასეთი საშინელი საფრთხე. მაგრამ მასში არც უცხოეთი არ იქნება დამნაშავე და არც მთავრობა. არამედ ჩვენი ხალხის ბედოვლათობა, სიბრიყვე და უგუნურობა“.

აი, სად მარხია ძაღლის თავი. „თარგამაძეებს“ არ უყვართ ხალხი, ეშინიათ მათი. სწორედ ამ ხალხმა დაამხო მათი ხელისუფლება. ამ ხალხის წიაღში იშვა საძულველი ეროვნული მოძრაობა.

საერთოდ ეროვნულ მოძრაობასთან მიმართებაში ორი, ერთი შეხედვით საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა. ერთის მხრივ, გახშირდა ცდები გააშავონ ეს მოძრაობა, დაამცირონ მისი როლი. ამას ძირითადად ის ხალხი აკეთებს, ვინც მოასწრო ამ რამდენიმე წლის წინ ამ საქმეში ხელის გაწაფვა.

მეორე ტენდენცია ის არის, რომ დღეს ბევრი ცდილობს უკანა რიცხვით ჩაეწეროს ამ მოძრაობაში. ჩემთვის მისაღებია, როდესაც ამ მოძრაობას უკავშირებენ ე. შევარდნაძის სახელს, ვინაიდან ეროვნული მოძრაობის ფართო გაშლა ჩვენში მართლაც ბევრწილად განაპირობა იმ შედარებით ლიბერალურმა ატმოსფერომ, რომელიც უშუალოდ ე. შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული. შიშს იწვევს სხვა გარემოება. არ მოხდეს ისე, რომ ამ მოძრაობაში ჩაეწეროს მთელი ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა. არ გამოვიდეს ისე, რომ ეროვნული მოძრაობა კი არ იყო ნამდვილი ეროვნული მოძრაობა, არამედ ის ხალხი, ვინც ამ მოძრაობას ავიწროებდა, აბეზღებდა, დევნიდა.

ერთი რამ არის დამაიმედებელი. ისტორიას არ სჩვევია უკუსვლა. ერთხელ ტრაგედიად მოვლენილი შეიძლება განმეორდეს მხოლოდ როგორც ფარსი. ღმერთმა ჰქნას, არც ეს ფარსი გაგრძელდეს დიდხანს.

21 აპრილი, 1993



ცოტა რამ „სოჭის ოქმის“ შესახებ

დასასრული

ლობდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი პასტუხოვი, ჩვენი მხრიდან კოლეგა ბატონი უკლება.

3 სექტემბრის შეთანხმებაზე მუშაობისას რუსეთის საელჩოერტო ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლავროვი. მას საკმაოდ დამყოლი პოზიცია ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ ვარიანტებში აშკარა რიგი პრინციპული საკითხების განსხვავებული გააზრება, სულ რამდენიმე საათში მოვამზადეთ დოკუმენტი, რომელიც, ჩემი აზრით, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი დროის ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ მიღწევას წამროადგენს.

სექტემბრის მეორე ნახევარში რუსეთის შიდაპოლიტიკურ კონიუნქტურაში მომხდარი ცვლილების შედეგად, შემდგომ შეხვედრებში ბ-ნი ლავროვი ბ-ნმა პასტუხოვმა შეცვალა. კეთილ, გასული წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემდეგ დაგეგმილი უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებისას ჩვენ დელეგაციას უკვე იგი უწევდა პარტნიორობას. ჩვენ მაშინ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, რის გამოც ელცინ-შევარდნაძის მეორე შეხვედრა ვეღარ შედგა. პასტუხოვი მაშინაც ცდილობდა აფხაზეთი მოლაპარაკების ერთ-ერთი სრულუფლებიან მხარედ წარმოედგინა. მე განვმარტე, რომ, როცა აწარმოებენ მოლაპარაკებას ტერორისტთან, რომელსაც მძევლები ჰყავს აყვანილი, ეს სულაც არ ნიშნავს მის **de jure** მხარედ აღიარებას. მასთან მოლაპარაკ. მიმდინარეობს მხოლოდ ჰუმაუსური მოსაზრებების გამო, რათა გამოირიცხოს მსხვერპლი. არძინბასთან მოლაპარკებით ჩვენ გვსურს მხვერპლის შემცირება, რადგან ის, სამწუხაროდ, **de facto** ორი რაიონის ტერიტორიას აკონტროლებს, რაც მას უაღრესად სახიფათოს ხდის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არძინბასა და მისი გარემოცვის სახით ჩვენ არსებითად საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დამნაშავესთან, რომელთაც შექმნეს უკანონო სამხედრო ფორმირებანი და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს იმ ქვეყნის არმიას, რომლის მოქალაქენიც ისინი, მოსწონთ მათ ეს თუ არა, თვითონვე არიან, როცა ეს არმია საკუთარ ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა. ტერმინი „მხარე“, საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინია და მოლაპარაკების სრულუფლებიან მონაწილეს, სუვერენულ სახელმწიფოს გულისხმობს. ამდენად, ნათელია, რომ გუდაუთის ხროვის მიმართ ამ ტერმინის ხმარება მათი, ჯერ ერთი, უცოდველ კრავებად წარმოჩენას, მეორეც, მთელი აფხაზეთის წარმომადგენლებად ცნობას და მესამე, ამ ხროვის მიერ განსახიერებული აფხაზეთის საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარებას ნიშნავს, რაც სამმაგად დაუშვებელია.

სოჭის შეხვედრაზე რუსეთის მხრივ კვლავ იყო მცდელობა შემოეტანათ გამოთქმები — **„стороны в конфликте“** და **„абхазская сторона“** ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, დაგვეცვა 3 სექტემბრის შეთანხმების ტერმინოლოგია, ეს გამოთქმები შეცვლილ იქნა. დაგვეთანხმა ბატონი პასტუხოვიც, მაგრამ შეთანხმებული ტექსტის გადაბეჭდის დროს რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა, ასე ვთქვათ, „შულეობას“. ტექსტი ხელმოწერილი იქნა საზეიმო ვითარებაში, ოქმში კი ორ ადგილას მაინც დარჩა — **„стороны в конфликте“** 3 სექტემბერს მიღებული — **„участники конфликта“**-ს ნაცვლად

ტერმინოლოგიური საკითხებისათვის ასეთი ყურადღების დათმობა ვინმემ შეიძლება ზედმეტ ჩაკირკიტებად ჩაგვითვალოს, მაგრამ ეს ასე არაა. როცა არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი მთავრობა — მინისტრთა საბჭო, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქში იმყოფება, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ორ მესამედს აკონტროლებს, სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით, რომლის შემადგენლობაშიც 4 აფხაზი მინისტრი შედის, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობების დაცვით მოქმედებს და, ამდენად, არ არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ეს ასე თუ ისე გასაგებია. სრულიად გაუგებარია ამ ფონზე ზოგიერთი ჩვენი გუდაუთის დანაშაულებრივი დაჯგუფების „აფხაზეთის მხარედ“ გამოცხადება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დაბნევისა და დეზორიენტირების მცდელობად უნდა განიხილოთ, რაც „დიდი და ძლიერი აგრესორის“ მიერ შევიწროებული „პატარა და სუსტი“ აფხაზეთის ხატის შექმნას ემსახურება. საკითხის ამგვარი წარმოჩენა თუ რამდენად საზიანოა საქართველოს ინტერესებისათვის, ქართველი დიპლომატებისა და სამხედროებისათვის საიდუმლოებას არ უნდა წარმოადგენდეს, რაც სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არაა.

მოლაპარაკებას აფხაზეთის საკითხზე მნიშვნელოვნად ართულებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული სამართლებრივი ბუნდოვანება, რაც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ფუძემდებლურ საკითხებზე ორმხრივი ხელშეკრულებების პაკეტის ხელმოუწერლობის შედეგია. როცა რუსეთის რეაქციული წრეები ყოველნაირად ცდილობენ გადაავალონ ახალ, თანსწორუფლებიან სამართლებრივ საფუძველზე საქართველოსთან დამოუკიდებლობის ამება, რითაც ნოყიერ ნიადაგს უქმნიან სიცრუისა და დემაგოგიაზე დამყარებული იმპერიული პოლიტიკური კურსის სიცოცხის გახანგრძლივებას, ეს ასე თუ ისე გასაგებია. სრულიად გაუგებარია ამ ფონზე ზოგიერთი ჩვენი საპარლამენტო ფრაქციისა თუ ჯგუფის მიერ პოპულისტურ და ულტრარადიკალურ ლოზუნგებზე დაყრდნობით ხელშეკრულებათა ხსენებული პაკეტის ხელმოწერის ტორპედირება, რაც ცხადია, მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს.

როგორც მოგახსენეთ, სოჭის 1993 წლის 6—9 აპრილის შეხვედრა გარკვეულ ეტაპად უნდა ჩაითვალოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, ზოგადად, და კეთილ, აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების საქმეში. ამ კონტექსტში, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ოქმის ის ჩანაწერი, რომელიც ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრის მომზადებას გულისხმობს, **„в формате Итогового документа от 3 сентября 1992 года“** ანუ აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქის ხელმძღვანელობის მონაწილეობით. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ასეთი შეხვედრა უმოკლეს დროში მართლაც შედგება, რაც არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში შეიძლებოდა აფხაზეთის კონფლიქტის, აგრეთვე ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის საბოლოო მოწესრიგების საწინდარი გამხდარიყო. დაბოლოს, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს ხალხი დაძლევს მის წინაშე არსებულ სირთულეებს, მოახერხებს გამთლიანებას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სტაბილურობისა და წესრიგის დამყარებას, რაც საფუძველს შეუქმნის საქართველოს შემდგომ ნივთიერ და სულიერ აყვავებას.

გილოცავთ, მკლავჭიდელებო!

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთი „საქართველო“ გილოცავთ უდიდეს წარმატებას — ევროპის მკლავჭიდელთა პირველობაზე უმაგალითო გამარჯვებას, რაც გამოიხატა რვა ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში.

ზაურ ცხადაძის, ერეკლე გურჩიანის, ზაზა გუგენიშვილის,ლერი საღლიანის, გელა ბეწუშვილის, კობა თოდაძის, ჯიმი მერაბიშვილისა და დავით ჭელიძის, როგორც ევროპის 1993 წლის ჩემპიონთა სახელები, მუდამ დააშვენებს ქართულ სპორტის ისტორიას.

გვჯერა, რომ მინდია ფეტვიაშვილი, რომელმაც ამ ევროპელ ფორუმზე ბრინჯაოს ჯილდო მიიღო და სხვა ქართველი მკლავჭიდელები, მომავალში კიდევ უფრო მეტად გაახარებენ ქართველ გულშემატკივრებს.

მუდამ გამარჯვებით გევლოთ ბიჭებო!

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

ისნის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბიზნესმენმა ზაურ შალვას-ძე ცერცვაძემ თავდაცვის ფონდში უკვე მეორედ ჩარიცხა თავისი კუთვნილი დანაზოგი 10.000 მანეთი

ორ ოროთახიან ბინაზე ვცვლი ოროთახიან, ლოჯიამიშენებულ, გარემონტებულ ბინას სანზონაში, მეტრო ღრმაღელესთან. ბინას თან ახლავს სარდაფი. აქვს ტელეფონი.

გთხოვთ მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ დიდი დიღმის გარდა

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 61—06—39

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო

თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
15 მან.